

პეტარა, 6 ნოემბერი 1916 წ.

რედაქციის აღრიცხვა:
თფილისი, ოლქას ქუჩა, № 6.

— ფასი 15 კაპ. —


მეცნიერება

მათემატიკა

იუმორისგი
უურნალი.

№ 45

3 9 1



„ძმაო ზანასე! გზა გაგვყავს ახე...“

(მუშის წერილიდან).

მუშის სიმღერა

მთის ორწოხში გზა გამყავდა
 წერაქვს ჰქონდა ჩიკი-ჩიკი...
 ზურგზე მეჯდა მე უბედურს:
 ათის თავი,
 „ტაბელჩიკი“,
 იმას ზემოთ
 გზის „მასტერი“,
 იმას ზემოთ
 „ფოდრაჩიკი“,
 იმას ზემოთ
 „ტეხნიკისი“,
 იმას ზემოთ
 „რიალჩიკი“,
 იმას ზემოთ
 ინჯინერი...
 მექანიან ჩიკი-ჩიკი...
 როგორ გზიდო აღარ ვიცი
 ეს ეშმაკის დანაჩიკი
 ინჯინერი,
 გზის მასტერი,
 ტაბელჩიკი,
 ფოდრაჩიკი...
 მიგჩანჩალებ კოჭლ ბატსავით,
 ჩიკი-ჩიკი, ჩიკი-ჩიკი,
 ჩემი ბარები რათ გამხდარა
 ყველა ჯურის
 „კარმანშჩიკი“?..

კოლო.

მომაცვლინებელი
ლანებაული

„პარასკევებს, 16 ოქტომბერს, საღამოს 11 ს ათას და 27 წუთისა და 17 წამზე მოულოდნელათ გარდაცვალა ჩვენი ქვეყნის სასიქადულო ძე და თანაც სიამყე მთელი საქართველოსი და სრულიად მაჟრისა, ცნობილი მოღვაწე სოლომონ ჯურაბის ძე ჯურგილიძემ. მასწ. ცურცუკია ხუნტრუცაძე“.

ი სიტყვები, რომელმაც შარშან ამ დროს ძირიანათ შეარყია მთელი რეალურ მოსახლეობისა და ისტორიული საქართველო, ი სიტყვები, რომელმაც დაუსვა ჩვენს მრავალ ტანჯულ ხალხს ყოფნა არყოფნის საკითხი.

არ გვეგულება ქართველი კაცი, რომელსაც მწვავეთ არ განეცადოს დიდებული მგოსნის უდრიოდ დაკარგვით (ის გარდაიცვლა 87 წლისა) გამოწვეული მწუხარების სიმწვავე. არ გვეგულება ქართველი, განურჩევლათ ეროვნებისა, სქესისა და კლასისა და მიმართულებისა, რომელსაც შარშან ამ დროს გულს ლახვრად არ დასობოდეს რკინის მავთულით გაღმოცუმული საბედისწერო სიტყვები ქალბატონ უუცუკია ხუნტრუცაძისა. არ გვეგულება ქართველი განურჩევლად წლოვანობისა და ქონებრივი მდგომარეობისა, რომელსაც ზღვა ცრემლი არ დაეღვაროს შარშან ამ დროს, ვინაიდან შეუძლებელია ქართველი, რომელშიაც არ იჯდეს ოუნდ $\frac{1}{3}$ ნეატრესენებული მგოსნის სოლომონ ზურგიელიძისა.

„ეშმაკის მათრახის“ რედაქცია მოუთმენლად მოელოდა წლის თავს ჩვენი საუკეთესო თანამშრომლის განსვენისა, რათა ჯეროვანი პატივი ეცა დაუვიწყარი მგოსნის ხსოვნისათვის. ამ მიზნით ბ-ნმა ეშმაკმა ინისის პირველ რიცხვებშივე დაიწყო მოლაპარაკება განსვენებულის ჭირისუფლებთან დღესასწაულის ჯეროვანათ ჩატარებისათვის. აღიძრა შუამდგომლობა სხვა და სხვა ქართულ კულტურულ და არა კულტურულ დაწესებულებათა წინაშე დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებათ. ეთხოვა ქართველ შვოსნებს და საზოგადო მოღვაწეთ, რომელნიც თავის დღევანდელ პოპულიარობას ერთოვად

ნეტარხესენებულ სოლომონს უნდა უმაღლიდენ, ვინაიდან მის სკოლაში აღიზარდენ, რომ გაიტანონ ფართე მასაში იდეა დღესასწაულისა; დასასრულ ეთხოვა პატივცემულ შაშქოვსკის „ნარიადი“ ერთი ან ორი ვაგონისა, სოფ. სოკოთუბნიდან განსვენებულის ჭირისუფალთა ჩამოსაყანათ, ხოლო ბ-ნ მ. ჯაბარს რამდენიმე ტომარა ფქვილი შორეულ სტუმართა გამოსაკვებათ.

ერთის სიტყვით ყოველგვარი მზადება წინასწარ იყო დაწყებული და დაპირებაც ყოველი მხრიდან მოგვლიოდა, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგა...

ვაი სირცხვილო!!!

როცა საქმე საქმეზე მიდგა დაპირებამ თქვენი ჭირი წაიღო. სოფ: სოკოთუბნისთვის დანიშნული ვაგონი კოპიტნარში აღმოჩნდა, ხოლო ვაგონი ძირიფას მემკვიდრეთა მაგირ ტყემლის ტყლაპით დატვირთული.

ქართველებო! გესმით ეს საარაკო ამბავი! სოლომონის მემკვიდრეთა მაგირ ტყემლის ტყლაპი! ამით ერთი წიხლი კიდევ უთავაზეს ჩვენს ეროვნულ თავმოყვარეობას!!

ამგვარათ, ბატონები, წლისთავი, ჩვენი დაუკიშარი მგოსნისა 17 ოქტომბრის ნაცელად მოხდება 13 ნოემბრის. ჩვენ სრული იმედი გვაქვს ქართველი საზოგადოება ჯეროვან პატივს სცემს თვის სიამაყესა და უკვდავი მგოსნის სოლომონ ზურგიელიდის ხსოვნას.

„ცოცხალი კაცი თუ მოკვდება და დაუცემა, რახავეთ გელია, მაშინ სჭირია მ.ს პატივისცემა“.

აი უკვდავი სიტყვები უკვდავი მგოსნის სოლომონ ზურგიელიდისა.


ქართველო ერო! ყურად იღე ის!!

„ეშვაკის მათრახია რედაქცია.

კონპერატივებიდან დასელები გავდევნოთ. რათა, იკითხავთ. რათა და იმიტომ რომ იქ დასელები მუშაობენ; ვინც შიგ მუშაობს, მხოლოდ იმისი განდევნა შეიძლება, თვარა მაგ, თითონ თელი შედენეთ თუ სადმე შეიდენება, თვარა გადენით არსაიდან. მას ამაყათ შეუძლია სთქვას: მოელი ქვეყანა რომ იწოდეს, (კონპერატია რა სახენებელია) ჩემი არა დაიწვიოსრაო.

ჭევიან კაცს ყველაფერი ჭევიანურათ ესმის: ავტონომია, ავტოკეფალია, უცხო კაპიტალი, ერთბა და ბოლოს კონპერატია. პირდაპირ საკვირელია, საიდან გაუკეთა თელომ კონპერატიას ასეთი შეუდარებელი ანალისი? საიდან შეიტყო ასე შეუცდომლათ, რომ კონპერატიაში დასელები არიან? ჩვენ ვიცით, რომ ერთი ფრიად პატივ ცემული და დიალ პატივსაცემი დაწესებულება, რომელთანაც თელოს ჯერ-ჯერობით საერთო არა იქნა რა, გაფაციცებით მუშაობს და გულ მოდგენით იკვლევს სწორეთ ამ საკითხს: ვინ ხელშძლვანელობს კონპერატივებს. მუშაობა ჯერ არ დასრულებულა, — ალბათ დიდ დროს მიითხოვს, — და არც არავინ უწყის, როდის გამოკვეყნდება ეს ნამუშევარი, ან რა ხასიათის იქნება მისი შედეგები. თელომ კი, ერთათ-ერთმა კაცმა, დასწრო მთელ დაწესებულებას, მარტოკა იდვათავს მთელი კითხვის სიძნელე და გამოიყვანა კიდეც უცილებელი დასკვნა: დასელები არიან კონპერატივებში, დასელები არიან ჭევინის დამღუბავი, პკა დასელებსო! მოდი და ნუ გაგიკვირდებათ: ერთმა კაცმა, ერთათ-ერთმა, ამდენი ჭევა გამოიჩინოს! მარა დილოცის ღვთის განგება: თურმე ვისაც ჭევას მისცემს, ორივე ხელებით მისცემს.

რატომ ნათლობაში არავინ იკითხავს, ბავშვს როდის ნათლივთო იმიტომ, რომ სულელმაც კი იცის, რომ თუ ბავშვი არ მოენათლავთ, მას საქიფოთ არ დააჯდენდენ. ეს ხომ ასეა, მარა მას შემდეგ, რაც თელომ კონპერატია მონათლა და გადანათლა კიდევ, რაღა საკიროა, რომ ვისგანაც ჯერ არს კვლავ იკრიბება სტატისტიკური ცნობები. კვლავ სწარმოებს გამოკვლევა, კვლავ დიდი სამზადისია ნათლობისთვის? ვინდა ვინდა აანთქმნს სანთელს, როცა მხე ამოსულია, ვინდა ეძებს მოსარჩენ წამალს დამარხული კაცისთვის? უსამართლობაა საეთო მოპყრობა ღრმა ნააზრისა, შრომის უზრო გაფლანგვაა, უპრინციპობაა.



პპიანი პაცი

ნათქვამია, ჭევიანი კაცი აღდგომასაც ჭევიანია. აი თელო ღლონტი: აღდგომას კი არ ვიცით რა ჭევაზე იქნება, მარა დღეს იმ ჭევაზეა, რომ

კკვიან მოქმედს, კკვიანი გამგონე უნდაო. თუ დღის კი ამ მხრივ ბედი არა სწყალობს. გამგონე მასჭარც კკვიანი ყოლია როდისმე და არც სულ-ელი. განა ცოტა კკვიან აქვს თედოს დაყაჭული ავ-ტონომიაზე, რეალურ მოსახლეობაზე, უცხო კაპი-ტალზე, ერობაზე, მარა ვინ იყო გამგონე? რომელ თავგამეტებულ ფედერალისტს დამისახელებთ, რომ თედოს რომელიმე წერილი ბოლომდე წაეკითხოს? ასთ-ამწყობიც კი მის სტატიას ასოებათ აწყობს და არა სიტყვებათ, თითქმ ეშინიან სიტყვებიდან აზრი არ გამოხტეს და თავში არ შემივიდეს. ცენ-ზორიც კი გადაავლებს თავის მოწყალე თვალს თე-დოს სტატიას,—ნათელი აზრის მისაც ძალიან ეში-

ნიან; სამაგიეროთ თედოს ნაწერი უკლებლათ იბე-ჭდება. მარა რალა ისეთი დაბეჭვდა, თუ თედოს მეტი არავინ. წაიკითხავს?

ნუ თუ კკვიან თედოს ამ უკანასკნელ სპეცი-ალურ გამოკვლევასაც ასეთი ბედი ეწვევა? ერთი მხრით ახიც კი მასზე. ვინ ათავსებს ასეთ სპეცია-ლურ ნაწარმოებს გაზეთის ფურცლებზე? გაუგზავ-ნოს იგი შესაფერ სპეციალურ დაწესებულების: იქ უეჭველათ გამოუჩნდება მას წამკითხვიც და გამ-კითხვიც, უეჭველათ დააფასებენ მას ჯეროვანათ და შემდეგშიც არ მოაქლებენ მის ივტორს იმ ყუ-რადლებას, რასაც ის სავსებით ლირსია.

ფოცხვერი.




მხატვრობა ა. გილოზისა

შურისძიება ისტორიები

(თარგმანი ესე ეძღვნების ეშმაკისაგან ქართველ ნოქრებს, ცხოვრებ, ში სახელმძღვანელოთ).

ისიდორე პლანკეს, პატარა საწვრიმალო დუქნის ნოქარს, დაუძლეველი მისწრაფება აღმოაჩნდა ლიტერატურისადმი. სწორეთ ამ მოუდრეკელმა შინგა ლიტერატურისადმი აი-ძულა პლანკეს მამა, პატრონი საწვრიმალო დუქნისა, შეილი სოფლიდან პარიზში გაეგზავნა.



— აპააა, შენ აქ კომედიებსა სჩხრეე? დაიღრიალი მამამ. როცა შეილს პირდაპირ დანაშაულში საწერ მაგიდასთან მოასწრო. — შენ არცხვენ, ლაწირაკო ჩემს პატიოსან სახელის! ხვალვე პარიზისაკენ გიქრავ თავს; შეიძლება იქ მოხვიდე გონს და გადაეჩიო ამ უმსგავსო ჩვეულებას!

ნახევარი წელი იმსახურა ისიდორემ პარიზელ ვაჭართან. ის აკვირდებოდა თავისს მახ-

ლობლებს, სწავლობდა მათ სისუსტესა და ნაკლულევანებებს; თავის რვეულში იწერდა და ინიშნავდა უყველივე ღირს შესანიშნას.

მოსამსახურე გოგოებ, მზარეულებს და დაბალ მოხელეებს ძლიერ უყვარდათ ისიდორესთან მასლაათი. უველა აქებდა ვაჭართან ახალგაზრდა ისიდორეს, მის გონება მახვილობასა და საქმის უნარს.

სავაჭროს პატრონს, ბ-ნ კარნიბუას, კიდევაც შეშურდა ისიდორეს ასეთი სახელი და დიდება.



კარნიბუას მეუღლე კი ცეცხლზე ნავთს ასხამდა, რითაც უფრო ამწვავებდა ქმრის ნოქართან დამოკიდებულებას. ქალბატონმა პირველ-ყოვლისა მოინდომა ახალგაზრდა ნოქრის გულის მოგება, მაგრამ ცუდმ ამაოთ ჩაუარა. საქმიარისია დახედოთ უტყუარ გამოხატულებას აღნიშნული ქალბატონისას ამ ჩვენს სურათზე, რომ თქვენთვის აშკარა შეიქმნეს წმინდა და სპერაკი დამოკიდებულება ახალგაზრდა ნოქრისა ბ-ნ კარნიბუას მეუღლისადმი. მაგრამ ეს არა კმიაროდა ბ-ნ კარნიბუასათვის, იგი მიუხედავათ ამ აშკარა საბუთისა ფარულ ეჭვების ცეცხლზე იდაგებოდა.

ისიდორესაც კარგათ ესმოდა, რომ ასეთი მდგომარეობა ხანგრძლივი ვერ დარჩებოდა. ის მართალიც იყო.

ერთ შშვენიერ დილას, რაღაცაზე გულ მოსულმა მიგაჭრემ ნოქარი აღგილიდან დაითხოვა.



— ძალიან კარგი, ბატონო, მე წავალ, — მიუჟო მომავალმა დრამატურგმა.

ამით დასრულდა მათი უთანხმოება.

გაიგო ეს ამბავი თუ არა, ქალბატონი კარნიბუა ერთხელ კიდევ შეეცადა ჯიუტი ნოქრის გულის მონაცირებას.

— ერთად-ერთი სიტყვა მითხარით,— თაფლის ენით წასჩურჩულა ქალბატონმა — და მე მოგაშეკრი, რომ თქვენ ისევ აქ დარჩეთ.

რა სიტყვა უთხრა მას ისიდორებ?


ამ საიდუმლოს შთამომავლობა ვერ გაიგებს. ჩვენ ვიცით მხოლოდ ერთი რამ: ამ სიტყვის შემდეგ ქ-ნი კარნიბუა დაუძინებელი მტერი შეექნა მისი.

უგემურისა და ცივი საუზმის შემდეგ, (ცივის ყოველ მხრივ) ისიდორე თავის საქმეს დაუბრუნდა — გადაწყვეტილი იყო, ის მეორე დილით დასთხოვოდა სამსახურს.

უცებ კარებში ვინმე ბ-ნი გერისონი გამოჩენდა. კარნიბუამ ძველ ვალში მას პატარა ბოჭკით უვარგისი კონიაკი შეატყუა და როცა გერისონმა ვაჭრის ოინი გაიგო, წამოვიდა „ანგარიშის გასასწორებლათ“.

ის უკვე რამოდენიმეჯერ იყო დუქნში ამ კეთილშობილური მიზნით, მაგრამ ვერასოდეს სახლში ვერ მოასწრო დუქნის პატრონებს.

უოველ ახალ მოსვლაზე მისი გულის წყრომა ღვივდებოდა, სულ ცოტა რომა ვსთქვათ ერთი გრაფუსით მაინც — უკანასკნელათ მოსვლის დროს გარისონმა უკვე აღუთქვა რამოდენიმე ნეკანების ჩატონ კარნიბუას, ან მის შეუღლეს. დღეს კი, ოუ ხელში იგდო შეიძლება წუთი სოფელსაც გამოასალმოს ორივე ცოლ-ქმარი. ცოლ-ქმარ კარნიბუას სამართლიანათ შეეშინდათ გერისონის შეხვედრისა და დანახვისთანავე ფიცხლავ დაზგას ჭვეშ შეძვრენ. ძლივ-ძლიობით მოასწრეს ნოქარის გაფრთხილება: — ისიდორე! უთხარი რომ ჩვენ სახლში არა ვართ.



— ბ-ნი კარნიბუა სახლშია? — იკითხა გერისონმა.

— აհ გახლავთ, ბატონო.

— მეც ეგრე ვიცოდი! რა გაეწყობა, კიდევ მოვალ, მაგრამ გადაეცით თქვენს ბატონს, რომ თითოულ ჩემს მოსვლაზე ემატება სარგებელი ძველს ვალს. როცა იქნება ხომ მოვიმ-წყვდევ სახლში და მაშინ!..


გერისონმა თავისი სიტყვები ჯოხის საგულისხმიერო მოქნევით დაასრულა.

ისიდორეს თავში მოულოდნელათ დაიბადა უცნაური გეგმა უმაღლე ბატონების შურის ძიებისა.

— ბ-ნი ვარნიბუა, მართალია, გარეთ გამოეიდა, მაგრამ მალე დაბრუნდება, — მოუგონოქარმა გერისონს. — მართლა? განცვიფრებით შეეკითხა სტუმარი.

— ბატონმა მიბრძანა თქვენ უთუოდ მოგაცდევინოთ მის დაბრუნებამდე. ინებეთ, აი

აქ დაბრძანდით.—ისიდორემ დაუდგა სკამი ბატონ გერისონს სწორეთ დაზგის პირდაპირ.



— მეჩქარება, არ შემიძლია ამდენი ლოდინი... ბუზლუნებდა გერისონი.

ბატონი სულ რამოდენიმე წუთის შემდეგ დაბრუნდება.

— კარგი, დავიციდო.

ცოლ-ქარ კარნიბუს შიშით ენა ჩაუვარდათ. დაზგის ქვეშ ვიწროობა და მოუხერხებელი საჯდომი იყო. მაგრამ სხვა გზა არ იყო, ძალა უნებურათ უნდა მოეთმინათ. ისიდორე, თითქმ აქ არაფერიაო, ნავარდობდა ღუქანში აქეთ-იქით და იგონებდა საშუალებას, თუ როგორ გაეხანგრძლივებია წამება თავისი ბატონებისა.

ხუთი წუთის შემდეგ გარისონს მოთმინება დაეკარგა. ის წამოდგა და კარებრსაკენ გაემართა. დაზგის ქვეშიდან გულდამშვიდებული ამოოხვარა მოისმა.

— მოითმინეთ, ღვთის გულისათვის მოითმინეთ, ბატონს ძლიერ უნდოდა თქვენი ნახვა—შევეძრა ისიდორე სტუმარს. მე გამლანდავს, როცა გაიგებს თქვენ აქა ბრძანდებოდით და ვერ კი მოვახერხე თქვენი შეჩერება.

— საზიზლარი! წაიბუტბუტა ვიღაცამ დაზგის ქვეშიდან.

გერისონი კვლავ ყოყმანობდა.

— თქვენის აზრით ის დაიბრუნებს უკან თავის კონიაქს და მე გადამიხდის ჩემს ვალს?

— რამდენათაც მახსოვს,—სთქვა ისიდორემ—ჩემი ბატონი პირებს გადაგიხადოთ ყველაფერი რაც გერგებათ.

დაზგა შეინძრა.

გერისონი ისევ ჩამოჯდა. ისიდორემ გადასწყვიტა მისი მუსიკით გართობა.

— უთუოდ უნდა დაუცადოთ, თუ ჩემს ბატონს მართლაც მართებს თქვენი რამე...

— მე ვაჩვენებ ჰმართებს მას ჩემი თუ არა!—მუქარით წარმოსთქვა გერისონშა და ბრაზ მორეულმა დაზგას მუშტი დაპკრა.

— აქაური საქმეები ისე აწეშილ ჩაბნეულია, ბატონო, რომე შმაკიც კი ფეხს წაიტეხს, შენიშნა ისიდორემ.

— უკაცრავად! მე ვერ ამინევენ ანგარიშს. მე ვაჩვენებ მათ თამაშას.

— რომ იცოდეთ, ბ-ნო, რა ძნელია ისეთ ტუტუცოან სამსახური, როგორიც ეს კარნიბუაა,—წარმოსთქვა ისიდორემ—რასაკვირელია ცოლიც ბევრით არ ჩამორჩება ლირსეულ მეუღლეს!

— მე ქ-ნი კარნიბუს მხოლოდ რამოდენიმეჯერ მინახავს და ისიც ერთი თვალის მოკრით—წარმოსთქვა გერისონშა.

— წარმოიდგინეთ ხომ ასეთი ჯოჯოა და ისიც...

— ნუ თუ?..

გერისონს გეცინა, მაგრამ მყისვე განცვიფრებული შეჩერდა.

- დაზგა შეინძრა და ნაესავით ქანაობა დაიწყო. ისიდორეს სიტყვებისაგან გაბრაზებული ქმარი დაზგის ქვეშვე შეუდგა ცოლთბი ანგარიშის გასწორებას.
- სოოცარია, დაზგა ინძრევა — წარმოსთქვა განცვიფრებულმა გერისონშა.
- ეგ იმისგან წარმოსდგება ბატონო, რომ ზედა სართულში ამის პირდაპირ დადიან,
- დაამშვიდა სტუმარი ნოქარმა, რათა განეგრძო წამება დაზგის ქვეშ მობინალრეთა.
- მაშ თქვენ ამბობთ, რომ ქ-ნი კარნიბუა...
- დიახ, ძლიერ საეჭვო ყოფა-ქცევის პიროვნებაა, მაგრამ არც ქმარი აკლებს ხელს.
- ჩინებული მეუღლენი ყოფილან!
- შეხედეთ, დაზგა ისევ აცეკვდა! — შესძახა ისიდორემ.




- როგორც ეტყობა ზემო სართულში ძლიერ ბუქნაობენ, — შენიშნა გერისონშა. ისიდორეს სიტყვებისაგან ბრაზ მორეული ქალბატონი კარნიბუა ჯავრს იყრიდა თავის ქმარზე.
- როგორც ვატყობ თქვენი აღა არსად სჩანს — წარმოსთქვა გერისონშა და საათს დახედა.
- ნუ სწუხდებით! პირბას გაძლევთ, რომ თქვენ უთუოდ ნახავო დღეს ბ-ნ კარნიბუას — მიუგო ნოქარმა. ნებას მიბოძებთ რაიმე შეგთავაზოთ, ვიდრე ბატონი დაბრუნდ ება?
- სიამოვნებით, მხოლოდ არა ისეთი კონიაკი, რომლითაც მე იმ ავზაქმა დამასაჩუქრა. ისიდორემ ჩამოდგა დაზგაზე ორი მოზრდილი ჭიქა, გახსნა ძვირფასი, ძველი კონიაკის ბოთლი და დაასხა. დაზგა თითქმის ყალყაზე შედგა, მზათ იყო ისიდორეს გააფთრებით დასხახებოდა, მაგრამ მრისხანე სტუმრის შიშით ვერა ბედავდა.
- თქვენი გამარჯვებისა იყოს, ბატონო ჩემო!
- გაგიმარჯოს ჭაბუკო! — მშვენიერი კონიაკია! — დააყოლა გერისონშა.
- მე თქვენ უკეთესსაც მოგართმევთ.



დააწენა რა გახსნილი ბოთლი დაზგაზე, ისიდორე გაეშურა საუკეთესო კონიაკის მო-

სატანათ. ისევ იფეოქა პრობეჭ და კვლავ გაისმა გერისონის ტუჩების სიამოვნების წელა
პუნი. დაზგის კუკრუტანიდან კი ძირთასი სასმელი თავს ესხმის წამებულ ცოლ-ქმარს და
მათი მოთმინების ფიალს ავსებს. დაზგა ისეთის ძლიერებით შეინძრა, რომ გერისონი მიხ-
ვდა საიდუმლოებას.—ერთი შეხედეთ,— უცყვირა მან—ისინი დაზგის ქვეშ შემალულან!

დაზგა გრიალით იატაჭე დაეცა და გარისონის ჭინაშე გააფთრებული ცოლ-ქმარი
წამოიჭიმა.



— საზიზლარი! დასკუივლეს ცოლ-ქმარმა.

— თქვენ თითონ საზიზლრებო! — დაიღრიალა გერისონმა, მიიღო რა თავის თვეზე ისი-
დორესადმი მიძღვნილი ლანძღვა.

ის ეკვეთა ცოლ-ქმარს, როგორც გაცოფებული ხარი ტორეადორს. ვინ იცის რამდენ
ხანს გაგრძელდებოდა ეგ საბედისწერო შეტაკება და თავ-პირის მტვრევა, თუ უციმდებოდა პოლი-
ციელნი არ გაჩენილიყვენ. გათიშვისა და დაშოშმინების შემდეგ პოლიციისაკენ წაიყვანეს
ყველა მოქმედნი პირი ისიდორეს მიერ შექმნილი ფარსისა.



წაიყვანეს ყველა, გარდა თვით ავტორისა... ისიდორემ სამუდამოთ მიატოვა დუქანი
სწორეთ იმ დროს, როცა დაზგა დაემხო. მაგრამ მოყვასთადმი თანაგრძნობით მუდამ აღსავ-
სე იყო იმისი ნორჩი გული: სწორეთ მან მოიყვანა პოლიციელნი.

თარგმანი ეშვაძისა.



პრემია

(ცუდლენი ხილისთაველებს)

ჩვენს ქვეყანაში იყო ერთი ქართველი „უურნალისტი“ წარმოიდგინეთ ჩვენი უმაღურობა და საზოგადო მოღვაწისაღმი გულგრილობა: ის თუ უურნალისტი იყო ორავინ იცოდა. საბეჭდიეროდ, თვით უურნალისტისავე მეოხებით გაიგო მთელმა ქართველობამ, რომ მას ჰყოლია ქართველი ახალგაზრდა უურნალისტი — სანდრო ბაისოსშვილი. ბაისოსშვილი რასაკვირველია ნამდვილი გვარი არ არის, არამედ ფსევდონიმია, მაგრამ განსვენებული ეგნატე ნინოშვილი, თავის ნაწერებით იმდენი არაფერია რამდენიც მისი ფსევდონით.

ნინოშვილის შემდეგ ჩვენს ახალგაზრდებს გზა გაეხსნათ, ადვილი დარჩა პოეტობა, ბელეტრისტობა, ჟუბლიცისტობა, აქტორობა, კრიტიკოსობა და სხვა. ვისაც დედა კი ყავს (ან ჰყოლია როლისმე), და ამ დედას სახელი კი ჰქვია, მას ფსევდონიმიც მზათა აქვს და მეტი რაღაა საჭირო, — თავი და თავი ფსევდონიმია. ბაისო შვილიც აღბათ რომელიმე ნიჭიერი უურნალისტის ფსევდონიმია და ბარაქალი ქ-ნ ბაისოს რომ ქვეყანას ასეთი ნიჭიერი შვილი აჩუქა.

ოპ იმას მოგახსენებდით, სანდრო ბაისოშვილის უურნალისტობა არავინ იცოდა, მაგრამ ეს საიდუმლოება შემთხვევით გამომედავნდა და აიროვორ მოხდა ეს ისტორიული ამბავი:

ერთ დღეს სანდრო თავის სოფლიდან ქალაქში ბრუნდებოდა. (უურნალისტი ამა სოფელში როვორ გასძლებს!) სოფლიდან ქალაქში სოფლის ნაბათები მოჰკონდა: ფელამუში, ჩურჩხელა, ხილი ხაჭაპური, ყურძენი და სხვა. ამასთანავე საჭიროა იცოდეთ, რომ ამ ომის დროს რკინის გზებზე ერთგვარი მხედრობა გაჩდნენ. წინათ, როცა ჯვაროსანთა ომი იყო, მაშინდელ მხედრებს ქართველები ჯვაროსნებს ეძახდნენ რუსები კი „კრესტანოსცებს“ უწოდებდნენ. ახლანდელ მხედრებს რკინის გზის უანდარებმა „სპირტონოსცები“ უწოდეს, ვინაიდან მათი ერთი ადგილიდან მეორე ადგილას აკრძალული ხილი — სპირტი გადაქვთ. მხედრან კაცებს დედა კაცებმაც მიბაძეს, იმის გამო უანდრები გაუჩხრეკელს არავის არ სტოვებს. ხშირათ

ორსული დედა კაციც კი „სპირტონოსცა“ ჰქონიათ... მაგრამ, ბევრჯერ მომხდარა, რომ ძებუმშოვარა ბავშვი სპირტით სავსე ტიკჭორა აღმოჩენილა... ამის გამო ადვილი გასაგებია, თუ რათ გაჩხრიკეს სანდრო ბაისოშვილის „გვადრუცი“, სანდროს თავის თავი დაქერილი ეგონა და იმავე საღურიდან აფრინა დეპეშა გაზეთებში: „შეიპურეს ქართველი უურნალისტი სანდრო ბაისოშვილი, რომელიც იგზავნება საგუბერნიო ციხეშიო...“ სანდროს ბარგში ვერც საეჭვო, და ვერც საკბილო ვერაფერი ნახეს და მეორე საღურიდანვე უკვე გაანთავისუფლეს.

ამ დაჭერამ ბ-ნ ბაისოშვილს სახელი გაუთქვა; ვინც არ იცნობდა გაიცნო, ვინც ვერ აფასებდა დააფასა...“

ერთხელ, და მალე, სანდრო ერთ დაბაში მოხვდა ნათესავებში: მოგებენებათ ახლა სოფლათ მამალთა გვალვა. ერთ კაცზე ორი დიუინი ქალი მოდის, ამიტომ სოფლათ ახალგაზრდა კაცის, და ისიც სხვა სოფლის, და მეტადრე უურნალისტის გაჩენა, დიდი ბელნიერება არის. მის გაცნობასა და პატივისცემას ყველა ცდილობს, სანდროც ხელი ხელ საგოგმანებელი შეიქმნა.

„მე წავყობი სანდროსაო,
ლამაზსა და სანდობსაო“

აღილინებდენ გასათხოვრები გირიარაზე. ხაჭაპურების ჭამამ სანდროს მუცელი აუშალა, მაგრამ თავში ერთი გენიოსური აზრი მაინც მოუვიდა. მან გადასწყვიტა ეროვნული ხაჭაპურის სახელის მოხვევა. ამ მიზნით თავი მოუყარა გასათხოვარ ქალიშვილებს, რიცხვით 15.

ქალიშვილების წინაშე სანდრომ გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა, მან მოიგონა და ქებათა ქება უძღვნა ჩვენ ძველ ქალებს, რომელთაც იცოდენ შვენიერი დარაიის ქსოვა, და კიდევ უფრო შშვენიერი ხაჭაპურის ცხობა. აღნიშნა, რომ იხლანდელი ქალები ამ მხრივ ძველებს ჩამორჩნენ .. საჭიროა იღსდგეს ძველი ჩვენებური ეროვნული ხაჭაპური, პაპიროსის სითხე ცომით, და მტკაველის სისქე ჩვილი ყველით გატენილი გაუმარჯვოს მას, ვინც ყველაზე უკეთეს ხაჭაპურს გამოაცხობს..“

ამის შემდეგ გაიმართა ბჭობა, თუ როვორ და რა გზით იღსდგეს ეროვნული ხაჭაპური. დიდი ხნის კამათის შემდეგ კრებამ მიიღო ისევ სანდროს

წინადადება... „მომავალ შაბათს დელეჯანის მოსვლის შემდეგ კონსტანტინე მუსუსაძის სახლში 15 ქალიშვილმა უნდა მოიტანოს თავისი ხელით გამომცხვარი თითო ხაჭაპური, იქვე მოუყრის თავს 15 ახალგაზრდას, რომლებიც სათითაოდ იგემენ ხაჭაპურს, და რომლის მიერ გამომცხვარი ხაჭაპური იქნება ყველაზე უგემრიელესი, იმას მიეცემა პრემიათ ვაჟების მიერ 15 მან ლირებული „პალიონია“...

ქალიშვილები დიდათ დაფაცურდენ... ექებენ ყველს, ფქვილს, კეცს, შეშას, მერდინს ..

დილივიანიც მოვიდა. წერილებიც მაილეს... კოსტანტინეს სახლი განათლებულია... გამოცხადდა მხოლოდ ექვსი ქალიშვილი... ექვსი ხაჭაპურით. ხაჭაპურები ექსპერტებმა სერიოზულად მიიჩოვეს და პრემია კი შეაყოლეს...

ავყოა.

ანგარიში

(ცხოვრების სურათი)

— ბატონო, ხურდა არა გვაქვს უთხრა მე-დუქნემ ვასოს, როდესაც მან ნაყიდ სამ გირვანქა მსხალში სამ მანეთიანი გაუწოდა.

— მაშ რა ვქნა?

— როგორც თქვენი ნება! ხურდა კი არ არის.

— რა გერგება სულ?

— თოთხმეტი შაური და ორი კაბეკი.

— მოიცა... მოიცა... მღონი მაქვს ხურდა... არა... ერთი ათ-შაურიანი მქონია, ერთი ორშაურიანი და სამ-კაბეკიანი.

— ბატონო, მომეცით სამი მანეთი და ხურდას მოგართმევთ ორ მანეთ ნახევარს, მერე კი ოცდა-ორი კაბეკი მომეცით.

— კარგი... აიღე... ერიპა... მერე სადა მაქვს ოცდა ორი კაბეკი? მოიცა, მოიცა, კაცო, რამდენი მოგეცი შენ?

— ათი შაური.

— მაშ კიდევ ათი შაური აიღე და ოცდა რვა კაბეკი მომეცი.

— ოცდა რვა კაბეკი რომ მქონოდა, ბატონო, ხომ მაგდონსაც აღარ გაწვალებდით.

— ფუი! მაშ რა ვქნა? პო, მოვიფიქრე... აქა, ეს ცამეტი კაბიკი.

— მერე რა გამოვა, ბატონო?

— აიღე, აიღე. უნახოთ იქნება გამოვიდეს რამე.

— კეთილი, ბატონო, მიბოძეთ.

— ეხლა რამდენი მშაროთებს?

— ცხრა კაბიკი.

— ჰა! ეს როგორდა მოგცე?

— არ ვიცი, ბატონო... თუ გნებავთ, კიდევ ერთი გირვანქა მსხალი წაიღეთ.

— ასწონე!.. მაშ ეხლა რამდენი გერგება.

— სულ ოცდა ცამეტი კაბიკი.

— ეს ერთი მანეთი... მომეცი ხურდა.

— ეხლა ხომ უარესი გამოვიდა, ბატონო! იქნებ კიდევ მოგეცებნებათ საღმე ხურდა.

— ოჲ, ოჲ! აქა, საფულე! მაქვს ორი ათ-თუმნიანი, ერთი ოცდა ხუთიანი და ორი თითო თითო მანეთიანი. ოჲ, დავილალე.

— მანეთს ავიღებ... მაშინ მე თქვენი მემართება, ჩემო ბატონო, ცამეტი შაური და ორი კაბეკი.

— ოჲ, ოჲ! მართალი ხარ!

— ესე იგი ათი შაური და ჩვიდმეტი კაბიკი... ეს თქვენი ათი შაური, ესეც... ფუ აერ გავატანე იმ ყურუმსალ ბიჭს თქვენი მოცემული ხურდა.

— ესე.. დაიჭი ოცდა ხუთიანი...

— რად მინდა, ბატონო!

— არ გინდა?.. შევინახამ!..

— მომეცი ისემე ის ათშაურიანი და გამოვაწორებ საქმეს... ეხლა მე თქვენი მშართებს... მე თქვენი მშართებს... რალა?.. თქვენ ჩემი გმართებთ თოთხმეტი შაური და ორი კაბიკი, ესე იგი სამი გირვანქა მსხლის ფასი.

— კაცო, ხომ მოგეცი იმ მსხლის ფასი? ღმერთო ჩემო!..

— ოჲ ოჲ, უკაცრავალ... ესე იგი მე მშართებს თქვენი ოთხი აბაზი და შვიდი კაბიკი.

— არა, უნა გმართებს ჩემი ათი შაური, ცამეტი კაბიკი და ერთი გირვანქა მსხალი.

— ბიჭო, აუწონე კიდევ ერთი გირვანქა მსხალი.

— არ მინდა, არ მინდა!.. ღმერთმა დამიფაროს მსხლისაგან.

— თქვენ ხომ მოითხოვეთ?..
 — მომეცი, კაცო, ხურდა... მომეცი... და-
 ვიღალე ამდენი ლაპარაკით.
 — ემ წუთში, ბატონი, მაშ მე თქვენი მმარ-
 თებს ორი აბაზი და სამი კაპიკი. მომეცით კიდევ
 მანეთიანი და გავასწორებ საქმეს.
 — აჲა, აჲა, გაუმაძლარო! აჲა! — ვასომ თვისი
 საფულე თვეში ახალა მედუქნეს — მომეცი ჩემი
 ორი კაპეიკი, მომეცი ჩემი ხუთი შაური! ხა! ხა!
 ხა! ხა! ვასოს გული შეუწუხდა.

აი, რას ნიშნავს ბევრი ანგარიში!

გუგული

გერემათან

(დასასრული*)

VI

სტეფანე, არშაკა და გრიშა.

სტეფანე. (გნტვითებულ არშაკს) არშაკ, ეს
 ინჩხაბარა!

არშაკა. ახია შენზე. არა, შენ რომელი რევ-
 მატიზმის დოხტრური ხარ რომ კანკებს უსინჯა!

სტეფანე. ვა, მაშ ზომა არ ავიღო, კაცო!

არშაკა. ეე, ტუტუცი, ტუფლის ზომას უდებ,
 თუ ჩულქის პალიაზეს უკეთებ! არა, იმ კაბას
 რომ უწევ ზევით-ზევით ვინ მოგიწონებს ერთი
 მითხარი!

სტეფანე. არა, ეს ყურუმსალიც რაღა ეხლა
 დაეტაკა! (შეუბდებულ გრიშას) უუ, სულ კბილები
 უნდა დაგამტვრიოს კაცმა!

გრიშა. (ტირილით) თითონ დამეტაკა და მე
 რა უყო!

სტეფანე. (მიიწევს გრიშას და გაჭავრებით)
 აი, შე უშნო, შენა!

გრიშა. (დრიალების) თითონ დამეტაკა და მე
 რა უყო!

არშაკა. (სტეფანეს) მაგასთან რა გინდა კაცო!
 ეს ორი ამოტოლა ვირები დაგვერტა და მაგას რა
 უნდა ექნა!

*) იხ. „ეშმაკ, მათრახ.“ № 44.

სტეფანე. (ხაშს ავერდება) ვა, ვა, რა ხაშია
 კაცო, ერთია შახედე. აფსუსი არ არის ამისთანა
 ჩლიქების დალუპვა! (შეუბდებულ გრიშას) უუ, შე
 დოყლაპიაყ, შენა!

გრიშა. (ტირილით) თითონ დამეტაკა და მე
 რა უყო!

არშაკა. დაანებე, კაცო, თავი. მაგისი რა
 ბრალია!

სტეფანე. მოკრიფე ეს ყველაფერი და მო-
 სუფთავე აქაურობა.

გრიშა. (ასეუფავებს ბუტბუტით) მე ხომ არ
 დავტაკებულვარ და!

სტეფანე. (არშაკს) მოღი არშაკ, მოღი ეს
 ლვინო მაინც დავლიოთ ამ გაჯავრებულ გულზე.

არშაკა. (წასულის აბირებს) არ მინდა, ძმაო,
 ლვინო. კიდევ რომ შოგარდეს ის ქაჯი ხომ დაგ-
 ვიხეთქავს თავებს (მიდის).

სტეფანე. ერთი, არშაკ, ერთი.

არშაკა. (კარგბში) მოვალ, მოვალ, დუქანს
 მივხედავ და მოვალ ეხლავე.

სტეფანე. გელოდები აი!

არშაკა. არ უნდა ლაპარაკი, მოვალ რაღა
 ვა! (კადის).

VII

სტეფანე, გრიშა, შემდეგ ავქსენტი.

სტეფანე. (დაზიას მოუჯდება და სეაშს დეინოს).
 თვეუბა და ძიღი ეპარება! ვა, რა ძალიან გამიჯავრ-
 და ეს ჩემი ბარბარე! მინისტრის ცოლებს ეარში-
 ყებიან და მე რომ ვიღაცა სლუქანკას გავეარშიყო
 დიღი საქმეა! ძალიან დაბრაწული ლოკები კი
 აქვს იმ შაჩქენებულს იმასა. მაშ ეს იმის სადღენძე-
 ლო იყოს (სეაშს მერე ღუდღუდით გრიშას) ბიჭო,
 რას აკეთებ შენ მანდ!

გრიშა. ტუტუცისა ვფხევავ.

სტეფანე. (შეუცვირებს) მერე ვერ მოაჩინ აქა-
 დის, შე ლაწირაკო, შენა!

გრიშა. არ იფხევება ეს ვერანა და მე რა
 უყო!

სტეფანე. (ძიღი ერვენა და ღუდღუდით) ხმა გა-
 იქრე! (ედელზე შეუცდება და სოფლებს. კარგი მთვრა-
 ჭია).

გრიშა. ხაზეინ, რომ იძინებ მე რა უთხრა
მუშტრებსა!

სტეფანე. (დუღლუდით) ზავთრი, ზავთრი ბუ-
დიტ. (მიუძინება და ჰარარ ჰაუზის შემდგრ შემთდის
ვქენტო.)

VIII

იგინივე და ავჭენტი.

ავჭენტი. ხაზეინს სძინავს, ბოშო?

გრიშა. მე რა ვიცი, თვალები კი დაზურა და!
ავჭენტი. ბოშო, ჩექმები მზათაა?

სტეფანე. (შეიძრება) ზავთრი, ზავთრი ბუ-
დიტ.

ავჭენტი. (გრიშას) ჴა, ზავთრიო! ბოშო,
თვრალია შენი ხაზეინი?

გრიშა. მე რა ვიცი, ამ ლცინოს, კი ძალიანა
ყლურჭავდა და!

ავჭენტი. მეიტა, მეიტა, ბიძია, ჩექმებს სხვის
გავაკეთებიებ. არ მინდა თქვენი არაფერი.

გრიშა. მე საიდან მოგცი, მე რა ვიცი სად
არი!

ავჭენტი. იმე, რავა არ იცი! მე რომ ჩექმები
მევიტანე, ბოშო, გუშინ.

გრიშა ის ჩექმები ხაზეინშა სხვას ჩააცვა.

ავჭენტი. რაიო, ვის ჩააცვა, ბოშო, ვის?!
როგორ თუ ჩააცვა!

გრიშა. მე რა ვიცი, ეს არშაკა კი აბრახუ-
ნებს იმ ჩექმებსა და

ავჭენტი. (გაჯავრებული) არა, თქვენ რა პრაეა
გქონდათ, რომ ჩემი ჩექმები სხვას ჩააცვით!

გრიშა. მე რა ვიცი, ჩააცვა კი და!

ავჭენტი. მონახე ახლავე ჩემი ჩექმები და
შომიტანე, თვარა გიტირებთ ყოფას. არ მინდა
თქვენი გაკეთებული.

გრიშა. მე სად მოვნახო, არშაკას ჩააცვა ხა-
ზეინშა და!

ავჭენტი. მეიტა ჩემი ჩექმები თქვა!

გრიშა. მე საიდ მოვიტანო! ეხლა აქ მოვა
არშაკა და შენ გამოართვი.

ავჭენტი. (ძალიან გაჯავრებული) რაი არშაკაო,
ვისი არშაკაო, თქვენ რაზმონიებო, თქვენი მე-
ვიცვან ხაზეინს და ის გიტირებთ ყოფას! (გადის).

გრიშა. მე რას მიჯავრდები რა, მე ხომ არ

მაცვია ის შენი ჩექმები! (გულისებიდან ისმის ელგნეს
ხმა! შენ გენაცვალე ნატალია ეს ჩემთდანი მარანიე
მექმას სადგურზე და მეტ აგერ სტეფანესთან ბატინები
მაქმას, ჩავცემ და ახლავე მოგეწევი. ბიღეთი ამიდე არ
დაგავიწევეს.) რა ბატინკებიო! ნეტავი შენ იმ ბი-
ლეთს არ კარგავდე ის გირჩევნია. (შემთდის ელგნე)

IX

გრიშა, სტეფანე და ელენე.

ელენე. (სამგზავროთ გამოწერდისა შემთხვევის-
თანავე დაჯდება იქვე მდგრად ზირგელ სჭამზე და ფეხსა-
ცმელს იხდის) აბა, მოიტა შენ გაზდას ის ბატინკე-
ბი. (იხდის.)

გრიშა. რა ბატინკები, მე არ ვიცი!

ელენე. (ფეხსაცმლი) მაჩვენე როგორი გაკე-
თებულია.

გრიშა. რა გაჩვენო, ბატონო, მე არ ვიცი!

ელენე. დილას რომ ბატინკები მოვიტანე,
როგორ არ გახსოვს!

გრიშა. მახსოვს ბატონო, მაგრამ ჯერ არც
კი დაუწყვია, (აღვიძებს სტეფანეს).

ელენე. (ძალიან გაკირვებული) როგორ თუ არ
დაუწყვია?!

გრიშა. (ანჯლიერს სტეფანეს) ხაზეინ, პოლსა-
პოკენებსა თხოულობენ.

სტეფანე. (დუღლუდით) ზავთრი ბუდიტ, ზა-
ვთრი.

ელენე. (განციფრებული) როგორ თუ ხვალეო!
რალა ვენა ახლა, რა წყალში გადავარდე!

გრიშა. (ანჯლიერს სტეფანეს) ხაზეინ, ხაზეინ!

სტეფანე. რა იყო, ბიჭო, რა ამბავია!

ელენე. როგორ თუ რა ამბავია! სად არის ჩე-
მი ბატინკები?

სტეფანე. (იღვიძებს, მაგრამ გარეტანებული)
იზვინიტე მადამ დღეს ცოტა გადაპრუწულში ვარ
და ხვალ იქნება მზათ.

ელენე. (შეწუხებული) ლმერთო ჩემო, რავენა
საით გადავარდე! მერე ეგ არის შენი პირობა, შე
უსინდისო შენი! (მათებულობების) თფუ, შეგარცხვინა
ლმერთომა, შე ლოთო შენა! მომეცი ჩქარა ჩემი
ბატინკები, არ მინდა შენი გაკეთებული.

სტეფანე. (ძალი ერება) მიეცი ბიჭო, მიეცი.
(მიუუდება გედელზე და იძინებს.)

მლენ. (იცვამს ისევ მის მიურ გახდილ ბატინჯებს, ხოლო მეორე წევილს ქადალდში ახვევეს) ღმერთო, რა ვქნა, როგორ მომატყუილა ამ ლოთმა, ამ საზიზღარმა ამან! (სტეფანეს) გახსოვდეს შენ ეს ონი და თუ ქალი ვარ გადაგიხდი სამაგიეროს. შე უზრდელო, შე მატყუარავ, შენა! თუუ, შენ კაცობას! (საჩქაროთ გადის.)

გრიშა. (იღრიჯება) ჯერ ეს ცოტაა. მოვიდეს ეხლა ის ჩინონიკი რა დღეს დააყენებს ჩემს ხაზენს, მერე არშაკაც თუ შამოჩერჩეტდა იმ დროს! ვამდე დედავ, რა ამბავი იქნება! (იცინის, ისმის კუდისებში ავჭენტის ხმა; აგა, ბატონთ, იმ რაზმონიე სტეფანეს დუქანი.)

X

გრიშა, სტეფანე, ავქსენტი და აპოლონი.

აპოლონი. (ხნიერი გაცაა. გუბერნატორის განცემათის მტხელე) სიციფის ქშინას. თბილთაა ჩაცმული. შალტოს ზევიდან შალი აქეს მხრებზე მოსიმული. ჭოხი უქირავს (ხელში) არა, ვინ გამიბედა მე, გუბერნატორის ჩინოვნიკს ჩემების მოტაცება! (გრიშა საჩქაროთ აღვიძებს სტეფანეს) არა, ვინ გამიბედა მეთქი! (შემოდის) არა, შენა ბძანდები ვაუბატონო, ის ავაზაკი ჩემებს რომ მტაცებ!

სტეფანე. (იღვიძებს, მაგრამ დაბნეულია) რა.. რა... ჩემები კნიაზ?

ავქსენტი. გუშინ რომ ჩემები მევიტანე, რავა არ გახსოვს თუ?

აპოლონი. (ხმამაღლა) სად არის მეთქი ჩემი ჩემები? არა, როგორ მიბედავ მე, გუბერნატორის ჩინოვნიკს ჩემების მოტაცება!

სტეფანე. (დაბნეულად) ვინ... ვინ მოგტაცა კნიაზ!

აპოლონი. გაჩუმდი მეთქი! მომეცი ჩქარა ჩემი ჩემები!

სტეფანე ხვალ, ხვალ იქნება კნიაზ...

აპოლონი. (აწევეტინებს) არ მინდა შენი გაკეთებული. მომეცი ჩქარა ჩემი ჩემები, თორემ გაგაციმბირებ შე ავაზაკო, შენა!

ავქსენტი. (გრიშას) მონახე, ბოშო, რას გაშტერებულხაო!

სტეფანე. ჰო მიართვი, ბიჭო, მიართვი.

გრიშა. მე რა მივართვა, ჩემები არშაკას არ ჩაცვი!

აპოლონი. (გავეირდებული) როგორაო! ვინ არ შაკა! რომელი არშაკა? არა, როგორ გაბედე შე საძაგელო, შე სალახანავ, შენა!

სტეფანე. (შეშინებული) სტყუის კნიაზ, ბიჭმა რა იცის. მე.. მე.. მოგართმევთ. (ეძებს.)

გრიშა. რას ეძებ რაც არ არის!

სტეფანე. (გრიშას) ხმა გაიკინდე!

აპოლონი. უყურეთ ამ მამუნს ვიღაც საპოენიკი მე, გუბერნატორის ჩინოვნიკს ჩემოვნიკს ჩემებსა მტაცებს!

ავქსენტი. მერე მაგისთანა გლახაკი, ბატონო გასალახია ღმერთმანი.

აპოლონი. გასალახი კი არა! კიმბირს გადავაცილებ. (სტეფანეს) ჩემები მეთქი ჩეარა!

სტეფანე. (ეძებს დაბნეული) ეხლავე კნიაზ...

აპოლონი. არა, როგორ გამიბედე მე, გუბერნატორის ჩინოვნიკს ჰა! შენ ვინმე უბრალო მჯღაბნელი ხომ არა გვონივარ!

სტეფანე. გავაკეთებ, ბატონო და ხეალ მოგართმევ ჩემი ბიჭის ხელით.

აპოლონი. არ მინდა მეთქი შენი გაკეთებული, მომეცი ჩემი ჩემები!

XI

იგინივე, ბარბარე, დათა და შევიდეგ არშაკა.

დათა. (ჩასუქებული და ღონიერი ბიჭია, მეუტლე კარებში ლაპარაკით შემოდის) ვინ არის, ვინ, ის გულადი ვაჟაპატი ერთი შემახედე.

აპოლონი. (რა დაინსხვას დათას და ბარბარეს ხმას დაუდაბლებს. ბოდაშით ბარბარეს) უკაცრავათ, ცოტა ხმამაღლა ვლაპარაკობ, მაგრამ რა ვქნა, ძალიან გამაჯავრა ამ პიანიცამ იმან. წარმოიდგინეთ ჩემები გამოუგზავნე გასაკეთებლათ და არმც თუ გაუკეთებია, ვიღაცა თხრისთვის ჩაუცმევია და გაუტანებია ამ უსინდისოს იმას! (სტეფანეზე ახვენებს.)

ბარბარე. უი, ღმერთო მომკალი! ეგეც მე ვარ! წარმოიდგინეთ, ბატონო, თქვენზე უარესი დღე მე დამაყენა მაგ სასიკვდილებ, მაგან!

აპოლონი. (სტეფანე) მომეცი მეთქი ჩემი ჩემები!

სოფანე. მო... მო... მოგართმევთ.

დათა. (რომელიც აქამდის თვალების პრიაფით უურებდა სტეფანეს, უცემ მიგარდება) შენ ხარ ის გულალი ვაჟაპი!

სოფანე. (შეშინებული) მე... მე...

დათა. (ხელებს იმპლაკებს) არა, როგორ გაბედე შენ დის გალანძვა, შე მაიმუნო შენა!

სოფანე. (შიშით მიგარდება) არა, მე... მე... ზომას უღებდი.

ბარბარე. (მიგარდება) მერე, შე სასიკვდილევ, ტუფლის ზომას იღებდი, თუ კანკისას!

დათა. (ბარბარეს გადაედობება) შენ დამატადე მის მე გაუსწორდები. (სტეფანეს) მაშ ქალებთან ხარ რაღა ვაჟაპი? აბა ერთი ვნახოთ როგორი ზომის აღება იცი! მიგარდება, შემოჭერას სტეფანეს და წააპარაცები. მისცვივდებან ბარბარე, აპოლონი და ავტენტი, სუსელანი სცემენ. სტეფანე უვირის: მიშვა- ლევ, მიშვალევეთ!)

აპოლონი. სად არის ჩემი ჩექმები სად!

ბარბარე. უი, შე სასიკვდილევ, შე სალახანავ, შენა!

ავქსენტი. აგიც შენ, შე გლახისკირო, შენა!

დათა. ი, ასე უნდა ზომის აღება! (სუსელანი სცემენ)

გრიშა. (შეშინებული უვირის) ვაიმე დედავ, მიშველევეთ! (სტეფანე გაუსხლტებათ სელიდან და მიბის ქარებისებნ, მაგრამ უეცრათ შეეფეთება ქარებში მომავალს არშაკას და ერთმანეთს დაეტაქებიან. არშაკა ქალიან სიმ- თვრალის გამო წაიქცევა და ბობდავს აარაზე. სტეფანე გამორბიას.)

ავქსენტი. (არშაკას ფეხებზე დაინახავს თავის ხა- ზეინის ჩექმებს) ი, ბარონო თქვენი ჩექმები!

აპოლონი. (მიგარდება არშაკას) ი, შე ყაჩალო, შენა!

ბარბარე. (დათას) ეგეც იმის ამგანაგია ეკ სა- სიკვდილე ეგა! (სუსელანი მისცვივდებან არშაკას)

აპოლონი. (ფეხებზე ჭოხს ურტვავს) გაიხადე მე- თქი ჩემი ჩექმები!

არშაკა. (მუშტებს იქნებს) იქით!

ბარბარე. უი, შე სასიკვდილევ, შენ ხომ გიგ- დე ხელში!

ავქსენტი. გეიძვრე ჩქარა ჩექმები, თვარა მევი- და სისხლი.

არშაკა. იქით! (უველანი დაებლა უჭებიან არშაკას და სტენის წინა პლანზე გმრათ ეგენ, ზოგი ხელებს უჭენს, ზოგი სტემს. ერთი სიტევით ერთი შეფრის დახმარებით ძალითა ხდიან არშაკას ჩექმებს. არშაკა პირველათ უქალ- ანდება, მაგრამ ვერსა ხდება დათესშიშეგლი, აარაზე დაგდებული ევირის) მიშველეთ, პრისტავ, აკალოშ- ნიკ, დვორნიკ, გარადავოი!

აპოლონი. (ჩექმებს ურტვას არშაკას) ჰე, ეგეც შენ, შე რაზმონიკო შენა!

გრიშა. (არშაკა დრიალებს, რადგან სუსელანი მას ესევიან და სცემენ. გრიშა ქუთხეში მოკუნტული სდგას შიშით და დრიალებს) ვაიმე, დელილო!

გოგია.

ფარდა.



გულდათუთქული კნ. მარიამ რევაზის ასული ზურგიელიძისა, უზომოდ
დამწუხებული ასტავნი პორუჩიკი მარკოზ ზურაბის ძე თ-დი ზურგიე-
ლიძე, პრაპორშჩიკები: ვარდენ, რეზო, ქიოხვერო, მოწყალების დანი: თა-
მარა, ცუცა, მაკო და ლიზო ზურგიელიძენი; გულმოკლული პოდრია-
ჩიკი ივანე ხარაძე; ტაბელჩიკი როსტომ ცხვარაძე; თინათინა, ფეფო,
პრაპორშჩიკი მიშა, კუკუნია, ცუცუნია, ცუცუკია, ლეო და დავით კი-
ბოშვილები; ზაზულია, ღუღუ, მარიკა, ბაკუო, წიპუნია, ჭუჭია, კუჭია,
ვარდო, ელენიჩა, ლუბოჩა და მაკარი (პრაპ.) ცხვარაძენი; ტყლაპის
ფოდრაჩიკი პეტრე კურტანაძე; ვალიკო, ბეჯან, სილონია, უნტერ-ოფი-
ცერი მათე, ზოსიმე, ხეარამზე ქატოშვილები; მსახიობი სიმონ, ვაკარი
კოსტა და ნინიჩა ჩხიკვაძეები; თომა, კეკე, ტატო, ატატო, უურნალის-
ტი სოსო, პრაპ. ლევან, ზაზა და მიტუშა ქარიანიძენი; პრაპ. ლუტუ-
ნია, კეკელა, ლილიჩა, სათნოების და სონიჩა, აკუშერეა ანეტა, მარუ-
სია, კეტუსია, თიკუნია, პრაპორშჩიკები პაბუნა და ორამ პლუტიევები;
მფეთებელი ჭიჭიკო და პრ. ზამბაურები; რემონტის მუშები ბესო, ზაქა-
რია, პარმენ, ვარდენ, ქსენია, ქეთინა, პრაპ. ტიტე; მარუშა; ინტენ-
დანტის მოსამსახურე ფრიდონ და ტაბელჩიკი ლუკა ხაზიშვილები. ვი-
როვან ტრანსპორტის ხელმძღვანელი თომა მუტრუკაძე და შოფერი მი-
რიან მარცხიევი აუწყებენ ნაოქსავთ, ნაცნობთ და ურიცხვ პატივისმცე-
მელთ, რომ კვირას, 13 ნოემბერს, დანიშნულია

წლის წირვა ახლად განსვენებულის ქართველი ერის დიდების,

მ გ ო ს ნ ი ს

სოლომონ ზურაბის ავ

ზურგიელი თამის

სულის მოსახსენებლათ.

ვინაიდან სიტყვის წარმოთქმის მსურველი ერთობ ბევრია, ამიტომ დრო
თითოეული სიტყვისა განისაზღვრა ვ საათით.